

შპს „ჩემი ოფისი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და აუდიტორთა პასუხისმგებლობები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩემი ოფისი“-ს (შემდეგში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში. მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დაცვით (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- მსს საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში. მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:
- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2019 წლის 20 სექტემბერს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



გიორგი კახუაშვილი

რიმა რუსიშვილი

2018 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

დასახელება (GE)	შენიშვნები	2018 ლარი	2017 ლარი	2016 ლარი
მიმდინარე აქტივები		390033	338780	293186,84
ნაღდი ფული	17	16209	36408,20	22351,81
სავაჭრო მოთხოვნები	7	77787	61232,3	50590,70
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	13	28369	14909,56	28955,78
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	267667	226230,83	191287,95
საგადასახდო აქტივი				
გრძელვადიანი აქტივები		1660694	1414649	250520,16
არამატერიალური აქტივები	9	35592	21093	11093
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	9	-11093	-8416	-5737
მიწა		99754	99754,74	99754,74
ძირითადი საშუალებები	8	1700514	1382380	173606
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	-164072	-80183	-28197
კაპიტალი		397789	346920	255298,77
სარეზერვო კაპიტალი		0	0	
საწესდებო კაპიტალი	16	375623	375623	302783,82
აკუმულირებული მოგება-დაუფარავი ზარალი	16			
მიმდინარე მოგება-ზარალი	16	22166	-28703	-47485,05
ვალდებულებები		1652938	1406509	288407,62
მიმდინარე ვალდებულებები		53736	92210	53711,62
სავაჭრო ვალდებულებები	12	13019	59138	1278,33
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	12	10249	17471	37047,29
საგადასახდო ვალდებულებები		25324	14947	15076
დარიცხული ვალდებულებები		0	0	0
მიღებული ავანსები		5144	654	310
გრძელვადიანი ვალდებულებები		1599202	1314299	234696
გრძელვადიანი სესხი		1599202	1314299	234696

შპს ჩემი ოფისი“-ის დირექტორი
გიორგი კახუაშვილი

შპს ჩემი ოფისი“-ის მთავარი ბუღალტერი
რიმა რუსიშვილი



2018 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების
ანგარიშგება

	2018	2017
	წელი	წელი
ამონაგები	1761194	1514315
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-782137	-631241
საერთო მოგება	979057	883074
სხვა შემოსავალი	4560	4015
მიწოდების ხარჯები	-9364	-7890
ადმინისტრაციული ხარჯები	-799455	-691214
ცვეთა და ამორტიზაცია	-86567	-50621
სულ საოპერაციო ხარჯები	-895386	-749725
საოპერაციო მოგება	88231	137364
შემოსავალი/ზარალი საკურსო სხვაობიდან	-37364	-118581
მოგება გადასახადამდე	50867	18783
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მიმდინარე წლის მოგება	50867	18783
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი წლის დასაწყისში	-28702	-47485
დივიდენდები		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი წლის ბოლოს	22165	-28702

შპს „ჩემი ოფისი“-ს დირექტორი
გიორგი კახუაშვილი

შპს „ჩემი ოფისი“-ს მთავარი ბუღალტერი
რიმა რუსიეშვილი



2018 დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილ ებელი მოგება	პერიოდის მ/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	302783		-47485		255298
2017 წლის შემოსავალი		72839		18783	
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	375623		-28703		346920
2018 წლის შემოსავალი				50867	
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	375623		22166		397788

შპს ჩემი ოფისი“-ს დირექტორი
გიორგი კახუაშვილი

შპს „ჩემი ოფისი“-ს მთავარი ბუღალტერი
რიმა რუსიეშვილი



2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2018 წელი	2017 წელი
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2046795,2	1763161,96
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1163061,6	-1349232,57
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-437209	-367580
სხვა	-9602,37	-12838,46
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	436922,21	33510,93
გადახდილი გადასახადები	-342202,17	-149331,79
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	94720,04	-115820,86
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	-217293,78	-827759,61
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		
მიღებული პროცენტი		
მიღებული დივიდენდები		
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-217293,78	-827759,61
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის გაზრდისთვის	72839	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	354497,35	1258230,6
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმოქმნილი		
ვალდებულებების გადახდა		
სასესხის ძირის გადახდა	-122436	-280223
სესხის პროცენტის გადახდა	-113087	-72676
დივიდენდების გადახდა		
საკურსო სხვაობა	-16598	-20532

ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	102375,22	957636,75
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	-20198,52	14056,28
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	36407,28	22351
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	16208,76	36407,28

შპს ჩემი ოფისი“-ს დირექტორი

გიორგი კახუაშვილი

შპს „ჩემი ოფისი“-ს მთავარი ბუღალტერი

რიმა რუსიეშვილი



ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჩემი ოფისი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2014 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისის, ბელიაშვილის ქ. 9

შპს „ჩემი ოფისი“ არის საოფისე ტექნიკის და მოწყობილობების წარმოების და მომსახურების საცალო ვაჭრობის კომპანია, დაარსებული საქართველოში. იგი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომსახურეობას ახორციელებდა 1 ოფისის მეშვეობით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის ბოლოსთვის მხარეებს შორის განსაზღვრული წილი მოცემულია ცხრილში:

	2018	2017
იანის სლავიკსი	70 %	70 %
გიორგი კახუაშვილი	30 %	30 %

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის შესახებ

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ” (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

საქართველოში რეგისტრირებული კომპანია საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერებს აწარმოებს მასს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად. უნდა ჩაითვალოს რომ ზემოდ ხსენებულ სტანდარტზე კომპანია გადავიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია კომპანიის საბუღალტრო აღრიცხვის ჩანაწერების საფუძველზე. კომპანია თავის ოქმების კრებულებსა და ჩანაწერებს აწარმოებს ქართულ ლარში და ასევე ქართულ ლარში აწარმოებს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისგან, გამოიყენოს განსჯა, კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენებისას. ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი განსჯა და შეფასებებია გამოყენებული, ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დროს და მათი შედეგი მოცემულია სააღრიცხვო პოლიტიკასა და ახსნა-განმარტების შენიშვნებში.

ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სამუშაო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს ბანკის შუალედურ ანგარიშზე.

მონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან/მომსახურეობიდან მაშინ აღიარდება, როდესაც საქონელი/მომსახურეობა მიეწოდება მყიდველს და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანია სარგებლობს სს პროკრედიტ ბანკის სესხით, აგრეთვე საოპერაციო საქმიანობისთვის აუცილებელი თანხების უზრუნველყოფა ხდება დამფუძნებლისგან მიღებული სესხით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. კომპანია 2016 წელს იყო ზარალიანი, ამიტომ მოგების გადასახდელი ვალდებულება არ წამოიქმნება. 2018 წლის 1 იანვარისთვის მოქმედებდა ესტონური მოდელი რომლის შინაარსიდან გამომდინარე არ გვაქვს ვალდებულება მოგების გადასახადის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები, საოფისე და სამაღაზიე მოწყობილობა 20 პროცენტი, ხოლო შენობა-ნაგებობაზე 5 პროცენტი.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით განიკვეთით 10%. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ტესტირება გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის)

ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება უდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. შპს " ჩემი ოფის"-ში არ ფიქსირდება ფინანსური იჯარა

კომპანიაში ფიქსირდებოდა ჩვეულებრივი იჯარა 2017 წლის 1 სექტემბრამდე. იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საქონლის მიღება ხდება საინვოისო ღირებულებით რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ხარჯები. პერიოდის ბოლოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიაში შიდა კონტროლის მექანიზმების ფარგლებში მოქმედებს მონიტორინგის სამსახური რომლის მოვალეობაში შედის საქონლის ინვენტარიზაცია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება იურიდიულ პირებზე, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. სავაჭრო ვალდებულებების კორექტირება აისახება კორექტირების თარიღით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ერთჯერადად დაქირავებულის მომსახურეობის ანაზღაურების ღირებულება განისაზღვრება ჩატარებული სამუშაოების მიღება ჩაბარების აქტის ან გასავლის ორდერის მიხედვით. გასავლის ორდერში მითითებულია შესრულებული სამუშაო და ღირებულება და თანხის მიღება. ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი დასტურდება შესაბამისი ხელმოწერებით.

1. ამონაგები

ამონაგები მოიცავს შემოსავლებს საქონლისა და მომსახურეობის რეალიზაციიდან ,
საცალო მყიდველებისთვის.

	2018 წელი	2017 წელი
	ლარი	ლარი
შემოსავალი საქონლისა და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	913157	765683
შემოსავალი მომსახურებიდან	848037	748632

2. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს 2017 და 2018 წლებში სადაზღვევო პოლისით
ანაზღაურებულ თანხებს.

	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი სადაზღვევო პოლისით	4560	4015

3. ფინანსური დანახარჯები

	2018 წელი	2017 წელი
სესხის პროცენტი	113087	72676

4. დაბეგვრამდე მოგება

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ჩართულია შემდეგი ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
	ლარი	ლარი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-782137	-631241
მიწოდების ხარჯები	-9364	-7890
საოპერაციო ადმინისტრაციული ხარჯები	-886022	-741835
მოგებ/ზარალი საკურსო სხვაობიდან	-37364	-118581

5. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

თავის მხრივ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2018 წელი	2017 წელი
საოფისე ხარჯები	-27515,73	-20 570,45
საკომუნიკაციო ხარჯი	-8776,37	-7 923,23
კომუნალური ხარჯი	-20462,63	-20407,76
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	-3997,68	-1 203,48
შრომის ანაზღაურება	-566661,97	-470039,43
მომსახურების ანაზღაურება	-8240,39	-5 156,50
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	-21300,88	-1518,53
საიჯარო ქირა		-59518,5
სადაზღვევო ხარჯები	-4620,46	-3563,33
ავტომობილის რემონტის ხარჯი	-3583,81	-2219,64
მივლინებების ხარჯები	-9884,86	-11501,34
წარმომადგენლობითი ხარჯი	-1719,85	-2077
ბანკის მომსახურების ხარჯი	-9602,35	-12838,38
სესხის პროცენტი	-113087,98	-72676,66
	-799454,96	-691214,23

შენიშვნა: შრომის ანაზღაურება მოიცავს როგორც ხელფასს აგრეთვე დროებით დაქირავებულის ანაზღაურება

6. მოგების გადასახდის ხარჯი

	2018 ლარი	2017 ლარი
მიმდინარე გადასახადი	(0)	(0)
გადავადებული გადასახადი	(0)	(0)

2016 წელს და 2017 წლებში, წინა წლების ზარალის გამო და საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე(მოქმედებს 2017 წლიდან) მოგების გადასახადი უნდა იქნას გადახდილი დივიდენდი გაცემის დროს და საგადასახადო კოდექსის თვალსაზრისით დაუდოკუმენტირებელი ან ნორმის ზევით გაწეული ხარჯის შემთხვევაში,რაც კომპანიას არ აქვს.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები მოიცავს გასაყიდად გამზადებულ პროდუქციას, დასაფასოებელ და მცირედ გადსამუშავებელ ნედლეულს, დაბრუნებულ საქონელს. ამავე ანგარიშშია გაერთიანებული საწვავის საწყობიც.

	2018 წელი	2017 წელი
	ლარი	ლარი
საქონელი	74805	65811
ნედლეული და მასალები	175903	141817
მზა პროდუქციის საწყობი	16028	17223
საწვავის საწყობი	931	1379

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები დაყოფილია კატეგორიებად. შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ოფისის არქიტექტურა. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 20%-იანი განიკვეთის მიხედვით

შინაარსი	შენობა- ნაგებობა	ოფისის არქიტექტურა	სატრანსპორტ ო საშუალებები	სულ	
	ლარი	ლარი		ლარი	
საბალანსო ღირებულება დასაწყისში 2018 წ	1235171	111900	35329	1382400	
საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის 2018 წ	1329403	135442	235669	1700514	
შემოსვლა 2018წ.	94232	23542	200340	318114	
გასვლა 2018 წ.	0	0	-1953	-1953	
ცვეთა პერიოდის 2018 წ.	-60530	-14808	-8551	-83889	
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის დასაწყისში	-27865	-44694	-7624	-80183	
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის ბოლოს	-88395	-59502	-16175	-164072	

9. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა: არამატერიალური აქტივი შედგენს საღრიცხვო პროგრამა FINA-ს. სააღრიცხვო პროგრამის დანერგვა და შესაბამისად კაპიტალიზაციის დასრულდა 2017 წელს. 2017 წლის ბოლოს შევიძინეთ პროგრამა ELMA, რომლის დანერგვა მიმდინარეობდა 2019 წლის მარტის ჩათვლით და საბოლოოდ არ დაიწერა, ამიტომ არ მაქვს აღიარებული. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 10%-იანი განიკვეთის მიხედვით

თვითღირებულება	ლარი
1 იანვარი 2017 წელი	11093
შემოსვლა	10000
შემოსვლა აღიარება	
გასვლა	0
ნაშთი 31 დეკემბერი 2017 წ.	21093
2018 წელი შემოსვლა	14500
შემოსვლა აღიარება	
გასვლა	0
ნაშთი 2018წ	35593
დაგროვილი ამორტიზაცია 2016 წ.	-5737
2017 წლის ამორტიზაცია	-2678
დაგროვილი ამორტიზაცია 2017წ.	-8415
2018 წლის ამორტიზაცია	-2678
დაგროვილი ამორტიზაცია 2018 წ.	-11093
საბალანსო ღირებულება 31.12.2018	24500

10. გადავადებული გადასახადი

კომპანიას გადავადებული გადასახადის ვალდებულება არ ერიცხება

11. სესხი და საბანკო გარანტია

კომპანიას აქვს სს პროკრედიტ ბანკის და დამფუძნებლისგან მიღებული სასესხო ვალდებულებები:

	2018 წელი		2017 წელი	
	USD	ლარი	USD	ლარი
პროკრედიტ ბანკი	450064	1204642	487 859	1264628
პროკრედიტ ბანკი ოვერდრაფტი	35000	93681		
	EUR	ლარი	EUR	ლარი
დამფუძნებლის სესხი	39888	122352	16000	49670
პროკრედიტ ბანკი	58150	178526		

12. ვალდებულებები

	2018 წელი	2017 წელი
ადგილობრივი საქონლის შეძენიდან წარმოქმნილი ვალდებულება	13019	59138
მიღებული ავანსები	5144	654
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ	10249	12611
გადასახდელი სესხის პროცენტი დამფუძნებელს		4860

13. მოთხოვნები

	2018	2017
	ლარი	ლარი
მოთხოვნები იურუდიულ პირებზე საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების	74109	61233
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	3678	
ავანსად გადახდილი თანხები	28369	14909

14. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების ვალდებულება

კომპანიის დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება, რომელიც ეფუძნება მომსახურე პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებას შეადგენს: 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 12612 ლარს (2016 წლის ვალდებულება იყო 10631 ლარი, დაერიცხა 470039 ლარი, გადახილ იქნა 468058 ლარი) 2018 წლის 31 დეკემბრისთვის 10249 ლარს (დაერიცხა 566662 ლარი, გადახილ იქნა 569025 ლარი).

15. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული ქონდა საოფისე და სასაწყობო ფართი 2017 წლის 1 სექტემბრამდე. ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელებმა 2017 წელს შეადგინა 59510 ლარი და აღიარებულია ხარჯად .

16. კაპიტალი

ქვემოთ გთავაზობთ კაპიტალში ცვლილების დეტალიზაციას

	საწესდებო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალის ცვლილება	გაუნაწილებელი მოგება	პერიოდის მ/ ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	302783		-47485		255298
2017 წლის შემოსავალი		72839		18783	
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	375623		-28703		346920
2018 წლის შემოსავალი				50867	
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	375623		22166		397788

17. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2018 წელი	2017 წელი
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	940,95	12476,76
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	5851,33	20428,75
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	9417,46	3502,69

18. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები კომპანიას არ უფიქსირდება

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის მაისიდან კომპანიაში მიმდინარეობს ახალი პროგრამის დანერგვა 1C.სააღრიცხვო პოლიტიკა არ შეცვლილა.

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები არ ფიქსირდება.

21. ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან. საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. კომპანიის რისკის მართვა მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე უარყოფითი გავლენის მაქსიმალურად შემცირებას.


კომპანიას აღებული აქვს გაფართოების სტრატეგია და აქედან გამომდინარე მოითხოვს თანხების დაბანდებას. თანხების მოზიდვა ხდება დამფუძნებლის მხრიდან კრედიტის მეშვეობით, ან საკრედიტო ორგანიზაციისგან სესხის გაზრდის მეშვეობით. აგრეთვე დამფუძნებლები გამოთქვავენ მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვაზე.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2019 წლის 15 სექტემბერს.

შპს ჩემი ოფისი“-ს დირექტორი

გიორგი კახუაშვილი



შპს „ჩემი ოფისი“-ს მთავარი ბუღალტერი

რიმა რუსიშვილი

